ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობის პრინციპები და ამ ცენტრების მიერ შეთავაზებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

(ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი მომსახურებები)

ესტონეთის სექსუალური ჯანმრთელობის ასოციაცია და

ასოციაცია HERA XXI-ი

ტალინი/თბილისი 2022 წ

სარჩევი

წინასიტყვაობა

1 ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიზანი და საფუძველი

2. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობის პრინციპები

3. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიერ შეთავაზებული მომსახურებები

3.1 სამედიცინო მომსახურება და ფსიქოლოგიური კონსულტაცია

3.1.1 გასაუბრება საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელ პირთან

3.1.2 კონტრაცეფციასთან დაკავშირებული კონსულტირება

3.1.3 სგგი/აივ: ტესტირება, კონსულტირება, მკურნალობა

3.1.4 გინეკოლოგიური გამოკვლევა/სასქესო ორგანოების გამოკვლევა

3.1.5 ორსულობის დიაგნოსტირება, კონსულტირება და შემდგომი ქმედებები. კონსულტირება და ორსულობისას ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი

3.1.6 სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო მომსახურება

3.1.7. ფსიქოლოგიური კონსულტაცია/ფსიქოთერაპია

3.2 წვლილი სექსუალური განათლების სფეროში

3.3 ტელეკონსულტაცია

4. ხარისხის გაუმჯობესება

4.1 ზოგადი მიმოხილვა

4.2 ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

4.2.1 ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები: გაუმჯობესება და მონიტორინგი

4.2.2 მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

4.2.3 კლიენტთა კმაყოფილების კვლევა

4.2.4 პერსონალის კომპეტენტურობა

4.2.5 ხელმძღვანელობის გაუმჯობესება

4.3 ახალი ცენტრების შექმნა და ცენტრების ქსელში მათი ჩართვა

4.4 თანამშრომლობის გაღრმავება

4.5 ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მომსახურებათა სამიზნე ჯგუფის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზემოქმედების შეფასება

წინასიტყვაობა

წინამდებარე გზამკვლევი:

- ემსახურება ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობის, ე.ი. მათ მიერ შეთავაზებული და ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი მომსახურებების მიზნისა და პრინციპების აღწერას; მასში ასევე მოცემულია ამ ცენტრების მიერ შეთავაზებული მომსახურებების მიმოხილვა, მათი სტრუქტურა და მართვა, აღნიშნული ცენტრებისა და ქსელის ხარისხის გაუმჯობესების გზები და ხარისხის შეფასების კრიტერიუმები;
- წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობის, მათ მიერ შეთავაზებული და ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი მომსახურებების შეფასებისა და ხარისხის გაუმჯობესების საფუძველს;
- გვაწვდის ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების დაარსებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

წინამდებარე გზამკვლევი წარმოადგენს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს, რომელიც განკუთვნილია საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებისათვის, პროექტების ხელმძღვანელებისათვის, ხარისხის შეფასებაზე პასუხისმგებელი და სხვა პირებისთვის, რომლებიც ჩართული არიან ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობაში; ასევე პირებისთვის, რომლებიც ამ ცენტრების მიღმა უზრუნველყოფენ ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილ მომსახურებათა მიწოდებას. წინამდებარე გზამკვლევის დანართებში შესულია მასალა, რომლებიც განკუთვნილია საკონსულტაციო ცენტრების მუშაობისა და აღნიშნული ცენტრების ქსელის კოორდინაციის ხელშეწყობისათვის: ხარისხის შეფასების საკონტროლო კითხვარი, პერსონალის ვალდებულებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები, პროფესიული რეკომენდაციები, კლიენტთა კმაყოფილების კვლევის მიზნით წარმოებული გამოკითხვებისთვის შექმნილი კითხვარები და ა.შ.

დანართების მიწოდება წარმოებს საჭიროებისამებრ.

1. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიზანი და საფუძველი

ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობის, მათ შორის ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი მომსახურებების მიწოდების მიზანს წარმოადგენს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება, ასევე ახალგაზრდების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების დაცვა, ისეთი მექანიზმების შექმნით, რომლებიც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ახლო ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და სასურველი ბავშვების დაბადებას. რისკის შემცველი სექსუალური ქცევა პირდაპირ კავშირშია ახალგაზრდების ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან. ჯანმრთელობის საკითხებისადმი ჰოლისტიკური მიდგომა და ახალგაზრდების ფსიქოსოციალური განვითარების ხელშეწყობა სამიზნე ჯგუფის (26 წლამდე ახალგაზრდები) წევრების მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას ზრდის და, ამავდროულად, ამცირებს არასასურველ ორსულობათა რაოდენობას და ხელს უშლის სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი), მათ შორის აივ-ის გავრცელებას. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრები საქმიანობას ახორციელებენ ახალგაზრდების სექსუალური უფლებების დაცვით (ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაციის სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების ქარტია). სხვადასხვა ავტორთა შეფასებით, ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიერ განხორციელებული საქმიანობის პროფილაქტიკური ხასიათი და მისი ზემოქმედება წარმოადგენს ახალგაზრდებთან მუშაობის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მაგალითს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო) და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) არაერთგზის და ხაზგასმით აღნიშნავენ კონკრეტულად ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი მომსახურებების მნიშვნელობასა და ეფექტიანობას, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიმართულებით, და ამგვარი მომსახურებების უპირატესობას იმ მომსახურებებთან შედარებით, რომელთა მიწოდებაც წარმოებს ჯანდაცვის ტრადიციული დაწესებულებების მიერ. გარდამავალ ასაკში, მოზარდებს ხშირად ერიდებათ საკუთარი ფსიქოსოციალური განვითარების შესახებ კითხვებით მიმართონ საოჯახო მედიცინის ცენტრს ან ანტენატალურ კლინიკას. ახალგაზრდების მხარდაჭერის შესაბამისი სისტემა ფაქტობრივად არ არსებობს. ჯანმრთელობისათვის არამავნე ქცევებისა და პრობლემებთან გამკლავებისათვის საჭირო უნარების ჩამოყალიბება და განვითარება მოითხოვს ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიერ შეთავაზებული ინდივიდუალური მომსახურებებისა და

სექსუალური განათლების კომბინირებასა და ადგილობრივ სკოლებთან თანამშრომლობას.

სექსუალური ჯანმრთელობა მოიცავს ადამიანის სექსუალობის ფიზიკურ, ინტელექტუალურ და სოციალურ ასპექტებს, გარდა ამისა, ხელს უწყობს პიროვნულ ზრდასა და განვითარებას, ინტერპერსონალურ კომუნიკაციასა და სიყვარულს. სექსუალური ჯანმრთელობა ადამიანის სექსუალობისადმი დადებით დამოკიდებულებას ემყარება. სექსუალური ჯანმრთელობის დაცვის მიზანს წარმოადგენს ადამიანთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და არა მხოლოდ შვილების გაჩენასა და სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებთან (სგგი) დაკავშირებულ საკითხებზე სამედიცინო კონსულტირება ან მომსახურება.

სექსუალური ჯანმრთელობა არის ფიზიკური, ემოციური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა და არა მხოლოდ დაავადებების, განვითარების შეფერხების ან დარღვევების არარსებობა. კარგი სექსუალური ჯანმრთელობის წინაპირობას წარმოადგენს სექსუალობისა და სექსუალური ურთიერთობებისადმი პოზიტიური და პატივისცემის შემცველი დამოკიდებულება, ასევე იძულების, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან თავისუფალი და სიამოვნების/კმაყოფილების მომნიჭებელი და უსაფრთხო სექსუალური გამოცდილების მიღების შესაძლებლობა. სექსუალური ჯანმრთელობის მისაღწევად და შესანარჩუნებლად საჭიროა პატივისცემით მოვეპყროთ, დავიცვათ და გავითვალისწინოთ ყველა ადამიანის სექსუალური უფლებები.

რეპროდუქციული ჯანმრთელობა არის ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა და არა მხოლოდ სხეულის რეპროდუქციულ სისტემასთან და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დარღვევებისა და დაავადებების არარსებობა. შესაბამისად, რეპროდუქციული ჯანმრთელობა ნიშნავს, რომ ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა სიამოვნება მიიღონ უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრებით და იყოლიონ შვილები, ამავდროულად, თავად მიიღონ გადაწყვეტილება იმის შესახებ იყოლიონ თუ არა შვილები, როდის და რა შუალედით სურთ შვილების გაჩენა.

არსებობს საყოველთაო თანხმობა იმის თაობაზე, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია და ჰქონდეს წვდომა, საკუთარი არჩევანით, ოჯახის დაგეგმვის უსაფრთხო, ეფექტურ, ხელმისაწვდომ და მისთვის მისაღებ მეთოდებზე, ისევე როგორც შვილების გაჩენის რეგულირების ყველა სხვა მეთოდზე, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს. ასევე საყოველთაოა ჯანდაცვის მომსახურებებზე წვდომის უფლება, რომელიც უზრუნველყოფს ქალების დაცულობას ორსულობისას და მათ

უსაფრთხო მშობიარობას და უზრუნველყოფს წყვილებს ჯანმრთელი შვილების გაჩენის საუკეთესო შესაძლებლობებით.

ზემოთ მოცემული განმარტებების თანახმად, რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვა გულისხმობს მეთოდების, მიდგომებისა და მომსახურებების ერთობლიობას, რომლებიც პრევენციისა და პრობლემის გადაჭრის საშუალებით ხელს უწყობს ადამიანების რეპროდუქციულ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას. იგი ასევე მოიცავს სექსუალური ჯანმრთელობის დაცვას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს არა მხოლოდ საკონსულტაციო მომსახურებების მიწოდება და სამედიცინო დახმარების აღმოჩენა შვილების გაჩენასა და სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებთან (სგგი) დაკავშირებულ საკითხებში, არამედ ადამიანების პირადი ცხოვრებისა და ახლო ურთიერთობის ხარისხის გაუმჯობესება და სრულყოფა.

რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან - რეპროდუქციული ჯანმრთელობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს უსაფრთხო ორსულობას, მშობიარობასა და ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვას, ხოლო სექსუალური ჯანმრთელობა ფსიქიკური და ფიზიკური კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. რეპროდუქციული ჯანმრთელობა სულ უფრო და უფრო განიხილება, როგორც სექსუალური ჯანმრთელობის ნაწილი, რადგან შვილების გაჩენა სექსუალობის ასპექტებს განეკუთვნება.

რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობა მჭიდრო კავშირშია ადამიანის უფლებებთან. ამ სფეროში წამყვანი ორგანიზაციები, როგორიცაა ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაცია (International Planned Parenthood Federation https://www.ippf.org/), კონტრაცეფციისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ევროპული საზოგადოება (European Society of Contraception and Reproductive Health https://escrh.eu/), სექსუალური ჯანმრთელობის მსოფლიო ასოციაცია (World Association for Sexual Health https://worldsexualhealth.net/), ქალთა ჯანმრთელობის საერთაშორისო კოალიცია (International Women's Health Coalition https://iwhc.org/about-us/) და მეანობა–გინეკოლოგიის საერთაშორისო ფედერაცია (International Federation of Gynecology and Obstetrics https://www.figo.org/), მიიჩნევენ, რომ სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს და რომ ეს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ნებისმიერ სფეროში, რომელიც სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების განვითარებას ემსახურება. აღნიშნული უფლებები მოიცავს: თითოეული ინდივიდუალური პირისა და წყვილის ძირითად უფლებას, მიიღოს თავისუფალი და დამოუკიდებელი გადაწყვეტილება იმის შესახებ, იყოლიოს თუ არა შვილები, როდის იყოლიოს შვილები და რა შუალედით; ოჯახის დაგეგმვის მიმართულებით

ინფორმაციისა და დახმარების მიღების უფლებას; საკუთარი ფერტილობის შესახებ თავისუფალი და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უფლებას; და დისკრიმინაციის, იძულების ან ძალადობის გარეშე ცხოვრების უფლებას. სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების დაცვა და პატივისცემა დამაკმაყოფილებელი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საწინდარია.

ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაციის ახალგაზრდულმა კომიტეტმა 1996 წელს ჩამოაყალიბა ახალგაზრდების სექსუალური უფლებები:

- თვითმყოფადობის უფლება: თვითგამოხატვის უფლება, სექსუალობით კმაყოფილებისა და სიამოვნების მიღების უფლება, უსაფრთხოების დაცვის უფლება, ქორწინების ან ქორწინებაზე უარის თქმის უფლება და ოჯახის დაგეგმვის უფლება;
- სექსუალობის, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) და საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმირებულობის უფლება;
- არასასურველი ორსულობისგან, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისგან (სგგი) და სექსუალური ძალადობისგან დაცვის უფლება;
- კონფიდენციალური, ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და პატივისცემაზე დაფუძნებული ჯანდაცვისა და სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება;
- ახალგაზრდული პროგრამების დაგეგმვის ყველა ეტაპზე მონაწილეობის უფლება და გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების უფლება.

ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაცია ოფიციალურად აცხადებს, რომ ყველა ახალგაზრდა უნდა იყოს ინფორმირებული მათი სექსუალური უფლებების შესახებ, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდებს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები საკუთარი პირადი ცხოვრების შესახებ.

ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობის პროფილაქტიკური ხასიათისა და ზემოქმედების გათვალისწინებით, ბევრი ექსპერტი მათ პრევენციის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ სასშუალებად მიიჩნევს. ახალგაზრდების სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების სფეროში საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ მოზარდებს შორის მნიშვნელოვნად მცირდება არასასურველი ორსულობების რიცხვი და მათი სექსუალური ქცევა ნაკლებად სარისკოა იმ ქვეყნებში, სადაც ახალგაზრდების სექსუალობა მიღებული და აღიარებულია, სექსუალური განათლება ინტეგრირებულია სასკოლო განათლებაში და მედია ავრცელებს ობიექტურ და პოზიტიურ ინფორმაციას სექსუალობის შესახებ და ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო მომსახურება კარგად ორგანიზებული და ხელმისაწვდომია.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო) და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) არაერთგზის და ხაზგასმით აღნიშნავენ კონკრეტულად ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი მომსახურებების მნიშვნელობასა და ეფექტიანობას, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიმართულებით, და ამგვარი მომსახურებების უპირატესობას იმ მომსახურებებთან შედარებით, რომელთა მიწოდებაც წარმოებს ჯანდაცვის ტრადიციული დაწესებულებების მიერ.

საერთაშორისო ექსპერტები ხაზს უსვამენ იმას, რომ ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიერ მომსახურებათა მიწოდების პარალელურად საჭიროა სკოლებში სექსუალური განათლების დანერგვა: სკოლაში მოზარდები ეცნობიან სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებში რჩევისა და დახმარების მიღების შესაძლებლობებს; სკოლაში მიწოდებული სექსუალური განათლება და ახალგაზრდების უზრუნველყოფა მომსახურებებით, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების მიმართულებით, უფრო ეფექტურია მათ შორის ურთიერთთანამშრომლობის პირობებში. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრებს დამატებითი წვლილი შეაქვს სექსუალურ განათლებაში. განათლების ინტეგრირება ინდივიდუალურ საკონსულტაციო მომსახურებებთან ძალადობის პრევენციის მნიშვნელოვან და ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

მოზარდობის ასაკში მნიშვნელოვანი ადგილს იკავებს ადამიანის ფსიქოსოციალური განვითარება, ე.ი. მისი სექსუალური იდენტობის ჩამოყალიბება და განვითარება. საკუთარი სექსუალობის აღმოჩენისა და ცვლილებებთან გამკლავების გზების ძიების პერიოდში მოზარდებს ბევრი კითხვა უჩნდებათ, რომლებზეც ისინი საჭიროებენ პასუხებს, ინფორმაციასა და მხარდაჭერას. დიდი ოდენობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიუხედავად, მოზარდებისთვის მარტივი არ არის სანდო ინფორმაციის მოპოვება - სექსუალობაზე მშობლებთან საუბარი მათთვის უხერხულია, ისინი კრიტიკულად აფასებენ თანატოლების რჩევებს, ინტერნეტის საშუალებით მიღებული ინფორმაცია ხშირად იწვევს დაბნეულობას და ურთიერთგამომრიცხავ გრძნობებს. მოზარდები, როგორც წესი, თავს იკავებენ საკუთარი სექსუალობის შესახებ კითხვებით მიმართონ ანტენატალურ კლინიკებსა ან სამედიცინო ცენტრებს, რადგან ისინი ჯერ არ არიან ამისთვის ემოციურად მზად. გარდა ამისა, არსებობს ამ კლინიკებში ნათესავებთან ან ნაცნობებთან შეხვედრის რისკი და შეიძლება მათ გააჩნდეთ შიში იმისა, რომ მათი ჯანმრთელობის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია მშობლებისთვის ან სკოლის საზოგადოებისთვის გახდება ცნობილი. ახალგაზრდებისთვის გაცილებით მარტივია მიმართონ ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო

ცენტრებს - რადგან ეს ცენტრები სპეციალურად ახალგაზრდებისთვის არის შექმნილი, ამ ცენტრებში დაცულია კონფიდენციალურობის პრინციპი და სუფევს ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი მიდგომა. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრებს მოზარდები, როგორც წესი, პირველად თანატოლების რჩევით მიმართავენ, რის შემდეგაც ისინი საკუთარი გამოცდილებით ხელმძღვანელობენ.

ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრები მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთდროულად ვიზრუნოთ ახალგაზრდების ფსიქიკურ, ფიზიკურ და სოციალურ ჯანმრთელობაზე. არჩევანის გაკეთებასა და ინფორმირებული და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაში ახალგაზრდებს კონკრეტულად ამ მიმართულებით მომზადებული სპეციალისტები უწევენ დახმარებას. ვინაიდან ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლები გადიან სპეციალურ მომზადებას ახალგაზრდებს შორის გავრცელებული პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის მიმართულებით, და ამ ცენტრებში ხშირად წარმოდგენილი არიან სხვადასხვა სპეციალისტები, რომლებიც არ არიან ხელმისაწვდომი ქალთა კონსულტაციებსა და ჯანმრთელობის ცენტრებში, ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრები (ერთი ან მეტი ვიზიტის ფარგლებში) ახალგაზრდებს სთავაზობენ ერთიან მომსახურებას, სხვადასხვა პრობლემებისა და საკითხების გადასაჭრელად.

2. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობის პრინციპები

განათლების მიღების პროცესში მყოფი ახალგაზრდების საცხოვრებელი ადგილის შესაძლო ხშირი ცვლილების გამო, მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობა ზუსტად შეესაბამებოდეს ჩამოყალიბებულ სტანდარტებს. ახალგაზრდები ცენტრებს მიმართავენ დამოუკიდებლად (ინდივიდუალური მიმართვა) ან მასწავლებლის რეკომენდაციით (სექსუალური განათლების პროგრამის ფარგლებში). ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრები უზრუნველყოფს პირველადი, მეორადი და მესამეული პრევენციის მიმართულებით მომსახურებას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში და ზრუნავს ახალგაზრდების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. უკიდურესად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დახმარების სწრაფად და მარტივად მიღების შესაძლებლობა. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების სამუშაო საათები ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ახალგაზრდებს შეეძლოთ მიმართონ ამ ცენტრებს კვირაში მინიმუმ ორჯერ მაინც. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების ადგილმდებარეობა უნდა იყოს ახალგაზრდებისთვის მოსახერხებელი, სასურველია ისინი სხვა სამედიცინო დაწესებულებებისგან განცალკევებული იყოს და აუცილებელია აკმაყოფილებდეს ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს (დანართი 1).

კონსულტაციის პროცესს განსაზღვრავს კლიენტთა საჭიროებები, უფლებები და პრობლემები. პერსონალს უნდა ჰქონდეს პოზიტიური დამოკიდებულება სექსუალობის მიმართ, მიუხედავად ახალგაზრდების სქესისა, ასაკისა თუ სექსუალური ორიენტაციისა. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების პერსონალი (ექიმები, ბებიაქალები, ექთნები, ფსიქოლოგები) უნდა იყვნენ სანდო, კეთილგანწყობილი, თავაზიანი და მიუკერძოებელი. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრები ემსახურება პრევენციას სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში, მაგრამ, საჭიროებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის არსებობის შემთხვევაში, კონკრეტული დარღვევებისა და დაავადებების (მაგალითად, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (სგგი), შარდ-სასქესო სისტემის ანთებითი დაავადებები, მენსტრუალური ციკლის დარღვევები) მკურნალობასაც. საქმიანობის ამგვარი ორგანიზება საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, რომლებიც მიმართავენ ცენტრს, დაუყოვნებლივ გადაჭრან

პრობლემა და ამცირებს ჯანდაცვის ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვა სამედიცინო დაწესებულებებში განმეორებით ვიზიტებთან.

მიმართვა და ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობის ორგანიზება

ახალგაზრდები ცენტრებს მიმართავენ დამოუკიდებლად (ინდივიდუალური მიმართვა) ან მასწავლებლის რეკომენდაციით (სექსუალური განათლების პროგრამის ფარგლებში). კონსულტაციაზე ჩაწერა შესაძლებელია წინასწარ ან ცენტრში მისვლის შემდგომ. პრობლემის ხასიათიდან და ცენტრის საქმიანობის ორგანიზების გათვალისწინებით, ახალგაზრდებს, რომლებიც წინასწარ არ ეწერებიან კონსულტაციაზე, მომსახურების მიღება შეუძლიათ ცენტრში გამოცხადების დღესვე, ე.წ. "ცოცხალი რიგის" პრინციპით. თუ შეუძლებელია მომსახურების მიღება ცენტრში გამოცხადების დღესვე, ან თუ პრობლემის გადაჭრას ვერ ახერხებს ცენტრის პერსონალი (ჩვეულებრივ, ბებიაქალი ან ექთანი), რომელიც მომსახურებას უწევს კლიენტს "ცოცხალი რიგის" პრინციპით, მიღების გადადების დრო არ უნდა აღემატებოდეს ერთ კვირას. ცენტრის საქმიანობა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ უზრუნველყოს მომსახურებაზე სწრაფი და შეუფერხებელი წვდომა: აღმოჩენილი პრობლემა ხშირად მოულოდნელია ახალგაზრდისთვის და მოითხოვს სწრაფ გადაწყვეტას; ახალგაზრდებმა შეიძლება არ იცოდნენ (განსაკუთრებით პირველი მიმართვისას) შეხვედრაზე წინასწარ ჩაწერის აუცილებლობის შესახებ ან არ იცოდნენ, რომელი სპეციალისტის დახმარებას საჭიროებენ.

ადგილმდებარეობა და სამუშაო საათები

ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრები და სხვა სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალგაზრდებისთვის მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებების მიწოდებას, ღია უნდა იყოს დღის განსაზღვრულ პერიოდში, რომელიც ხელსაყრელად მიიჩნევა ახალგაზრდებისათვის (შუადღემდე და შუადღის შემდეგ), კვირაში სულ მცირე ორი დღით, სასურველია მუდმივად და მთელი წლის განმავლობაში. ცენტრები განლაგებული უნდა იყოს ახალგაზრდებისთვის ადვილადმისადგომ და მოსახერხებელ ადგილებში, სასურველია სხვა სამედიცინო დაწესებულებებისგან განცალკევებით ან ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი მიმღები განცალკევებული უნდა იყოს სხვა მომსახურებებისგან დროსა და/ან სივრცეში. მიმართულების აღმნიშვნელი ნიშნები და სხვა ინფორმაცია უნდა იყოს თვალსაჩინო და გასაგები. სასურველია, რომ თითოეულ ცენტრს ჰქონდეს ვებ გვერდი, „Google My Business“ ან „Facebook“ გვერდი, სადაც მითითებული იქნება ცენტრის სამუშაო საათები, ადგილმდებარეობა და საკონტაქტო ინფორმაცია. გარდა

ამისა, შესაძლებელი უნდა იყოს ცენტრში დარეკვა და კომუნიკაციის დამყარება ელ.ფოსტით.

შენობები

ცენტრის საქმიანობა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ემსახურებოდეს კეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამყარებას კლიენტების მიმართ და მათი კონფიდენციალურობის დაცვას.

შენობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის. ამ პირობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სპეციალური საჭიროების მქონე პირებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ ძირითადი მომსახურებები იმავე შენობაში. შენობება ფუნქციურად უნდა იყოს დაგეგმილი და უზრუნველყოფდეს კონფიდენციალურობის დაცვას: სასწავლო ღონისძიებებისთვის გამოყოფილი უნდა იყოს ცალკე სივრცე (ცალკე შესასვლელით); საკონსულტაციო მომსახურებისათვის გამოყოფილი სივრცეში არ უნდა დაიშვებოდნენ უცხო პირები; ახალგაზრდებისთვის საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელი პირი, ჩვეულებრივ, ასისტენტის გარეშე უნდა უწევდეს კლიენტებს საკონსულტაციო მომსახურებას (მაგალითად, ექიმი მედდის გარეშე); კარის ჩაკეტვა შესაძლებელი უნდა იყოს შიგნიდან; გამოყოფილი უნდა იყოს უცხო პირების შეღწევისგან დაცული სპეციალური ადგილი ტანისამოსის გამოსაცვლელად; კედლები უნდა იყოს ხმაგაუმტარი.

პერსონალი

ცენტრის პერსონალი რეკომენდებულია შედგებოდეს ახალგაზრდებისათვის კონსულტაციის გაწევის კომპეტენციის მქონე ერთი ან მეტი ექიმისგან (მაგალითად, გინეკოლოგი, ზოგადი პრაქტიკოსი ან რეზიდენტი ექიმი) და ერთი ან მეტი ბებიაქალისგან/ექთნისგან, რომელსაც აქვს ახალგაზრდებისთვის კონსულტაციის გაწევის კომპეტენცია. გარდა ამისა, ცენტრში შეიძლება დასაქმებული იყოს ერთი ან მეტი სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. თუ ცენტრის პერსონალს შეადგენენ მხოლოდ ბებიაქალი/ექთანი და ექიმი, ცენტრი უნდა თანამშრომლობდეს სხვა ახლომდებარე ცენტრებისა და/ან სხვა დაწესებულებების სპეციალისტებთან.

ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიერ მიწოდებული საკონსულტაციო მომსახურებათა პრინციპი

ჯანდაცვის სხვა სისტემებისგან განსხვავებით, ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობის თავისებურებას წარმოადგენს სამედიცინო და ფსიქოლოგიური კონსულტაციების შერწყმა, ახალგაზრდების

პრობლემებისადმი ჰოლისტიკური მიდგომა და ახალგაზრდების ფსიქოსოციალური განვითარების მხარდაჭერა. პერსონალი ხელმძღვანელობს კონსულტაციის ზოგადი პრინციპით (ერთიანი მიდგომა, მუშაობისადმი დამოკიდებულება). ადამიანებთან მუშაობისას აღნიშნული ვლინდება კლიენტებთან, მათ ახლობელ ადამიანებთან და საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელ სხვა თანამშრომლებთან კომუნიკაციაში. დამოკიდებულება ასევე აისახება ცენტრის საქმიანობისა და ორგანიზების მარეგულირებელ ინსტრუქციებში. ცენტრში დასაქმებული საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელი პირების მუშაობა ეფუძნება ახალგაზრდა კლიენტის საჭიროებებს, უფლებებსა და პრობლემებს, ასევე იმ რესურსებს, რომელსაც საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელი პირი ფლობს პრობლემის გადაჭრის უზრუნველსაყოფად. კონსულტაცია ეფუძნება პერსონალსა და ახალგაზრდას შორის ურთიერთობას, რა დროსაც ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ აღიქვამს კლიენტი პრობლემას/საკითხს და როგორ რეაგირებს მასზე; კონსულტაციის პროცესში წარმოებს თავად კლიენტის ინიციატივის მხარდაჭერა და მისი განვითარების შესაძლებლობებზე მსჯელობა. პერსონალი ახალგაზრდის ცხოვრებას განიხილავს ჰოლისტიკურად, რომელიც მოიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ და კულტურულ ასპექტებს. მშობლები და სხვა მნიშვნელოვანი პირები განიხილებიან, როგორც შესაძლო რესურსი. ახალგაზრდებთან, განსაკუთრებით არასრულწლოვანებთან მუშაობისას, პერსონალს უნდა შეეძლოს შეაფასოს კლიენტის უნარი აღიქვას და გაიგოს განხილული საკითხი და მისი კომპეტენცია, რათა ინფორმირებული თანხმობა განაცხადოს კონკრეტულ სამედიცინო პროცედურაზე ან მკურნალობის დაწყებაზე (უპირველეს ყოვლისა ეს ეხება კონტრაცეფციას). პერსონალს, ასევე, უნდა შეეძლოს იმის შეფასება, თუ რამდენად კარგად აღიქვამს ახალგაზრდა მისთვის მიწოდებულ ინფორმაციას, რამდენად შეუძლია მას რისკებისა და სარგებლის გათვალისწინება და საკუთარი სურვილების გამოხატვა. პერსონალს პოზიტიური დამოკიდებულება უნდა გააჩნდეს სექსუალობის მიმართ, განურჩევლად კლიენტის ასაკისა, სქესისა თუ სექსუალური ორიენტაციისა. პერსონალი უნდა იმსახურებდეს ნდობას, იყოს კეთილგანწყობილი, თავაზიანი და მცოდნე, კლიენტთან ურთიერთობისას არ უნდა ცდილობდეს მორალის წაკითხვას და კლიენტის განსჯას. კლიენტები უნდა გრძნობდნენ, რომ ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრებში ყოველთვის შესაძლებელია კითხვების დასმა, გადაწყვეტილების მიღება და მიღებული გადაწყვეტილების სისწორის შემოწმება. ვიზიტის დროს წარმოებს შეთანხმება იმის თაობაზე, სჭირდება თუ არა ახალგაზრდას განმეორებით ვიზიტზე მისვლა და, საჭიროების შემთხვევაში, როდის.

აქცენტი პრევენციაზე

ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრები უზრუნველყოფს პირველადი, მეორადი და მესამეული პრევენციის მიმართულებით მომსახურებას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში და ზრუნავს ახალგაზრდების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ახალგაზრდების ფსიქოსოციალური განვითარების, მათ შორის ჯანსაღი ურთიერთობებისა და მათ მიერ ჯანსაღი გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობის მიზნით. პირველადი პრევენცია ძირითადად ხორციელდება სექსუალური განათლების სფეროში ლექციებით, ასევე ინდივიდუალური კონსულტაციებით ყველა ახალგაზრდა პირისთვის, რომლებიც მიმართავენ ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრებს, ფსიქოსოციალური განვითარების საკითხებზე, უსაფრთხო არჩევანის გაკეთებისა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების, უსაფრთხო სექსუალური კავშირების პრინციპებისა და ჯანმრთელობის რეგულარული შემოწმების საჭიროების შესახებ და ა.შ. მეორადი პრევენცია ორიენტირებულია კონკრეტული ახალგაზრდის საჭიროებებზე, და ამ საჭიროებების შესაბამისი კონტრაცეფციის მეთოდის შერჩევაზე, რაც წარმოებს ახალგაზრდის სასქესო ორგანოების გამოკვლევის, სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე (სგგი) ტესტირების და ა.შ. შემდეგ. მესამეული პრევენცია მოიცავს არა მხოლოდ კონსულტაციას, არამედ პრობლემის გადაჭრას. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობა ტარდება ცენტრის პერსონალის კომპეტენციის გათვალისწინებით, მაგალითად, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი), შარდ-სასქესო სისტემის ანთებითი დაავადებების, მენსტრუალური დარღვევების მკურნალობა. საქმიანობის ამგვარი ორგანიზება უზრუნველყოფს ახალგაზრდების პრობლემების სწრაფ მოგვარებას, რაც მნიშვნელოვანია, მაგალითად, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) დიაგნოსტირებისა და მკურნალობაში პარტნიორების ჩართვის მიზნით. როგორც წესი, ახალგაზრდები ნაკლებად ორიენტირდებიან ჯანდაცვის სისტემაში, რამდენიმე სხვადასხვა სპეციალისტთან ვიზიტი შეიძლება რთული აღმოჩნდეს მათთვის, გეოგრაფიული სიშორის, ფინანსების ნაკლებობისა და ხანგრძლივი ლოდინის საჭიროების გამო (იგულისხმება ექიმ-სპეციალისტებთან რიგები). შედეგად, ჯანმრთელობის პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება გაჭიანურდეს, რაც უკავშირდება შესაძლო გართულებებს და არასაჭირო სტრესს. გარდა ამისა, მკურნალობისა და პრევენციის მომსახურებათა (შეძლებისდაგვარად) გაერთიანება დაავადებებთან დაკავშირებული ჯანდაცვის ხარჯების დაზოგვის, ინფექციების გავრცელების პრევენციისა (ე.წ. მეორადი პრევენცია) და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში განმეორებითი ვიზიტების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. უფრო რთულ შემთხვევებში ან ისეთ შემთხვევებში, რომლებიც საჭიროებენ სტაციონარულ

მკურნალობას, ახალგაზრდის გადამისამართება წარმოებს სპეციალისტთან ან საავადმყოფოში სამკურნალოდ.

კონსულტაციის სფეროები

მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალური ან წყვილების კონსულტაციების ფორმატში, ასევე ჯგუფური საგანმანათლებლო მუშაობის სახით. თემები მოიცავს შემდეგს:

- ადამიანის სექსუალობა და მისი სხვადასხვა ასპექტები;
- ადამიანის სხეული და მისი განვითარება, მათ შორის სექსუალური განვითარება მოზარდობის პერიოდში;
- სასქესო და რეპროდუქციული სისტემის ანატომია და ფიზიოლოგია;
- აქტიური სექსუალური ცხოვრების დაწყებასთან დაკავშირებული საკითხები;
- სექსუალური ურთიერთობები და ცხოვრების წესი;
- სექსუალობა, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; ფსიქიკური ჯანმრთელობა;
- ნაყოფიერება და ორსულობის დაგეგმვა, ჯანმრთელობის პრობლემები ორსულობამდე;
- ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების შერჩევასთან დაკავშირებული საკითხები;
- ორსულობის დიაგნოსტირება, ორსულობის მონიტორინგი, ორსულთა კონსულტაცია;
- არასასურველ ორსულობასთან დაკავშირებული საკითხები;
- კონსულტაცია არასასურველი ორსულობის შეწყვეტამდე და ორსულობის შეწყვეტის შემდეგ;
- სგგი/აივ-ის პრევენცია, დიაგნოსტირება და მკურნალობა;
- კონსულტაცია და დახმარება სექსუალური ძალადობის შემთხვევაში;
- პრობლემები: ფსიქოსექსუალური, სოციალური, წყვილს შორის ურთიერთობაში, ოჯახში;
- სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები;
- სექსუალობის სოციალური და კულტურული ასპექტები;
- სქესი და სექსუალური იდენტობა;
- ადამიანის პაპილომავირუსით გამოწვეული დაავადებების, მათ შორის საშვილოსნოს ყელის კიბოს პროფილაქტიკა.

3. ახალგზარდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიერ შეთავაზებული მომსახურებები

ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრები უზრუნველყოფს ჯანდაცვის მიმართულებით მომსახურებების (სამედიცინო მომსახურება, ასევე ფსიქოლოგიური კონსულტაცია და ფსიქოთერაპია) მიწოდებას და, ასევე, ახორციელებს აქტივობებს სექსუალური განათლების მიმართულებით. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობა საჭიროებს დაფინანსებას სახელმწიფოს მიერ, რათა ყველა ახალგაზრდას ჰქონდეს წვდომა მათთვის საჭირო მომსახურებებზე და მოიხსნას ჯანდაცვის სისტემაში ორიენტირებასთან დაკავშირებული არასაჭირო ბარიერები. ჯანდაცვის მიმართულებით ძირითადი მომსახურებები მოიცავს გასაუბრებას საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელ პირთან, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე კონსულტაციას, სასქესო ორგანოების გამოკვლევას (მათ შორის გინეკოლოგიურ გამოკვლევას), ორსულობის დიაგნოსტირებას, კონსულტაციასა და დახმარებას როგორც დაგეგმილი, ასევე დაუგეგმავი ორსულობის შემთხვევაში, საჭიროების შემთხვევაში, ორსულობის მონიტორინგს, სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე (სგგი), მათ შორის აივ-ზე, ტესტირებასა და მკურნალობას, სხვადასხვა გინეკოლოგიური და ანდროლოგიური პრობლემების დიაგნოსტირებასა და მკურნალობას, ასევე სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დახმარებას. ჯანდაცვის მიმართულებით მომსახურებები დიდწილად ორიენტირებულია პრევენციაზე, რაც ეხმარება ახალგაზრდებს მიიღონ მათთვის უსაფრთხო გადაწყვეტილებები, საკუთარი ჯანმრთელობის (მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის) დასაცავად. პრევენციული ღონისძიებების შედეგად სექსუალური ქცევა ნაკლებად სარისკო ხდება, მცირდება არასასურველი ორსულობისა და აბორტების რაოდენობა, მათ შორის მოზარდებს შორის, მცირდება სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით (სგგი) ინფიცირების შემთხვევები და მათთან დაკავშირებული ზიანი. პრევენციული ღონისძიებების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს გარკვეული ინტერვენციები, რომელთა მიზანია ჯანმრთელობის პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული არასაჭირო შეფერხებების და მათგან გამოწვეული გართულებების შემცირება, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) გავრცელების შეზღუდვა და ამით ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვა და ზედმეტი მიმართვებისა და ჯანდაცვის ხარჯების შემცირება. ჯანდაცვის მიმართულებით მომსახურების ფარგლებში ახალგაზრდები იღებენ ყოვლისმომცველ დახმარებას, მათ შორის, განსხვავებული ხასიათის პრობლემების გადაჭრაში (მაგალითად, სოციალური, ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიური და ა.შ.) და აღნიშნულ დახმარებას ისინი იღებენ მინიმალური რაოდენობით ვიზიტების ფარგლებში. სექსუალური განათლების მიმართულებით

ცენტრების მუშაობა (ჯგუფური მუშაობა) სავალდებულო სასკოლო სექსუალური განათლების დამატებას წარმოადგენს და ახალისებს ახალგაზრდებს, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად მიმართონ ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრს. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობა ხორციელდება ჯანდაცვის მიმართულებით შეთავაზებული მომსახურებებით სარგებლობასთან დაკავშირებული თავისებურებების გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ ეფუძნება ახალგაზრდების საჭიროებებს, მათი ფსიქოსოციალური განვითარების დონესა და სოციალურ მდგომარეობას. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებმა უნდა გაიარონ ტრენინგები ფსიქოსოციალურ საკითხებზე ახალგაზრდების კონსულტირების მიმართულებით და მათ უნდა ჰქონდეთ სურვილი და შესაძლებლობა ნეიტრალურად ითანამშრომლონ ახალგაზრდებთან (განსჯისა და შეფასების გარეშე) და მხარდამჭერა გაუწიონ მათ.

ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიერ შეთავაზებული ძირითადი მომსახურებები:

- (სამედიცინო მომსახურება, ასევე ფსიქოლოგიური კონსულტაცია და ფსიქოთერაპია;
- ღონისძიებები სექსუალური განათლების მიმართულებით.

ახალგაზრდებისთვის მომსახურებებზე წვდომის უზრუნველსაყოფად, ცენტრების ქსელის საქმიანობა საჭიროებს დაფინანსებას სახელმწიფოს მიერ. დაფინანსების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ახალგაზრდების საჭიროებები, რომლებიც განაპირობებს ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრებში ახალგაზრდების მიმართვას და ის, თუ რას ანიჭებენ ისინი უპირატესობას, ასევე შეთავაზებული მომსახურებების ხარისხი და მათ შესაბამისობა შეთანხმებულ სტანდარტებთან.

ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების პოლიტიკა არ გულისხმობს მხარდამჭერი ორგანიზაციებისგან შემოწირულობების მიღებას, ფულის, მედიკამენტების ან ჰიგიენური საშუალებების სახით, თუ ეს ემსახურება კონკრეტული პროდუქტის გაყიდვის ხელშეწყობას. მედიკამენტების (მათ შორის ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების) და ჰიგიენური საშუალებების მიიღება წარმოებს კანონით დადგენილი წესით და სხვადასხვა პროექტების ფარგლებში თანამშრომლობის შედეგად.

3.1 სამედიცინო მომსახურება და ფსიქოლოგიური კონსულტაცია

მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდების საჭიროებების, პრობლემებისა და რესურსების აღმოჩენა, ასევე მათთვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციისა და რჩევების მიწოდება, იმ გადაწყვეტილებების მხარდაჭერა, რომლებსაც ახალგაზრდები დამოუკიდებლად იღებენ მმათთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ცენტრს შეუძლია მიმართოს ერთმა ახალგაზრდამ, დამოუკიდებლად, ან წყვილმა ან რამდენიმე ახალგაზრდამ ერთად. ნებისმიერი სამედიცინო მომსახურებისა და ფსიქოლოგიური კონსულტაციის/ფსიქოთერაპიის მიწოდება წარმოებს ნებისმიერი სქესის ახალგაზრდისთვის. ახალგაზრდის საჭიროებიდან გამომდინარე, მას მიეწოდება სამედიცინო მომსახურება და ფსიქოლოგიური კონსულტაცია/ფსიქოთერაპია და ამ მომსახურებათა მიწოდება შეიძლება ერთობლივად განხორციელდეს. მომსახურებათა ქვემოთ მოცემული აღწერილობები შეიძლება გამოყენებულ იქნას საკონტროლო სიის შესაქმნელად, მომსახურების ხარისხის მაჩვენებლების შესამუშავებლად, ასევე ცენტრის საქმიანობისა და მის მიერ შეთავაზებული მომსახურებების შესაფასებლად.

3.1.1 გასაუბრება საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელ პირთან

მიზანი: ახალგაზრდების დახმარება, მიიღონ გადაწყვეტილება მათ სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იმ პრობლემის გადასაჭრელად, რომლის მოგვარების რესურსიც მათ თავად არ გააჩნიათ. საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელ პირთან გასაუბრება ხელს უწყობს პიროვნულ ჩამოყალიბებას და სხვადასხვა სიტუაციებთან გამკლავების უნარის გამომუშავებას.

სტრუქტურა: საკონსულტაციო მომსახურება მიეწოდება ყველა ახალგაზრდას, რომელიც მიმართავს ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრს და საჭიროებს კონსულტაციას. კონსულტაციას უძღვება ცენტრში მომუშავე ნებისმიერი სპეციალისტი (ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე სპეციალიზირებული საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელი პირი), რომელიც ფლობს კომუნიკაციის უნარს (კონტაქტის დამყარებისა და შენარჩუნების უნარს, განსჯის თავიდან აცილების უნარს), რომელიც ფლობს ცოდნას კონსულტაციის საფუძვლებისა და ტექნიკის შესახებ, ასევე ფლობს პროცესის მართვისა და კონფიდენციალურობის დაიცვასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილების უნარს. კონსულტაციის წარმართვისათვის საჭიროა შესაფერისი სივრცე. პრობლემის ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში და ახალგაზრდის თანხმობით, მას აგზავნიან სხვა სპეციალისტთან დახმარების მისაღებად.

შინაარსი: კონსულტაცია არის პროცესი, რომლის დროსაც საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელი პირი მუშაობს ახალგაზრდა კლიენტთან

პრობლემის/სიტუაციის გადასაჭრელად და ეხმარება მას ოპტიმალური გამოსავლის მოძიებაში, პრობლემის დაძლევის ახალი სტრატეგიების შემუშავებაში, მდგომარეობის შემსუბუქებასა ან არასასურველი სიტუაციის შეცვლაში. კონსულტაცია მოიცავს ორ ეტაპს: პრობლემის გააზრება (მოსმენა, დისკუსიის წარმართვა და გაგებაზე ორიენტირებული სხვა მეთოდები) და ინტერვენცია (სხვადასხვა მეთოდის შერწყმა, ამოცანის შესაბამისად). საკონსულტაციო თემები შეიძლება მოიცავდეს ფსიქოსოციალურ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს (გარდამავალი ასაკი, ცვლილებები სხეულში და ურთიერთობებში), ახლო ურთიერთობებში პრობლემებს, სექსუალური ცხოვრების დაწყებას, კონტრაცეფციას, ორსულობას, სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ დარღვევებს, გენდერულ იდენტობას, სოციალური ხასიათის პრობლემებს, ძალადობას ინტიმურ ურთიერთობებში, სექსუალურ ძალადობას და ა.შ.

შედეგი: პიროვნული განვითარება; თვითშეფასების ამაღლება; პრობლემის კონსტრუქციულად გადაჭრის უნარების განვითარება. სტაბილური ფსიქიკური ჯანმრთელობა.

3.1.2 კონტრაცეფციასთან დაკავშირებული კონსულტირება

მიზანი: ახალგაზრდების მხარდაჭერა მათი ინფორმირებითა და მოტივირებით, მიაგნონ ყველაზე შესაფერის მეთოდს, არასასურველი ორსულობის თავიდან ასაცილებლად.

სტრუქტურა: მომსახურება მიეწოდება ყველა ახალგაზრდას, რომელიც მიმართავს ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრს და საჭიროებს რჩევას კონტრაცეფციასთან დაკავშირებით. საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელი პირის ინიციატივით კონსულტაციას სთავაზობენ მათაც, ვინც სხვა მიზეზით მიმართავს ცენტრს, თუმცა მასთან გასაუბრებისას იკვეთება კონტრაცეფციის საჭიროება (აქტიური კონსულტაცია). პერსონალი ფლობს პროფესიულ ცოდნას (მათ შორის, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ცოდნას ჩასახვის საწინააღმდეგო თანამედროვე მეთოდების შესახებ) და გავლილი აქვს ტრენინგი ახალგაზრდების კონსულტირების საკითხებზე, ასევე ფლობს დანიშნულების გაცემის უფლებას. გამოიყენება და ადგილზეა წნევის საზომი აპარატი, სასქესო ორგანოების გამოკვლევისა და სინჯის აღებისთვის საჭირო მოწყობილობა, ცენტრი თანამშრომლობს ლაბორატორიასთან, გააჩნია საინფორმაციო მასალები, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში უფასოდ გასცემს კონდომებს, გააჩნია პირველადი დახმარების საშუალებები (ანაფილაქსიური შოკის, გულყრის დროს გამოსაყენებლად). აღნიშნული მომსახურების გაწევა წარმოებს კლიენტის მიღების დროს (წინასწარი ჩაწერის ან/და ცოცხალი რიგის საფუძველზე).

მოკლე მიმოხილვა: ახალგაზრდები იღებენ დეტალურ ინფორმაციას კონტრაცეფციის არსებული მეთოდების შესახებ. ახალგაზრდა დამოუკიდებლად ირჩევს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებას. თუ არ არსებობს უკუჩვენება ახალგაზრდის მიერ შერჩეული საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებით, მცდელობა, შეაცვლევინონ კლიენტს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შეუსაბამოა. კონტრაცეფციის საკითხზე პირველადი კონსულტაციის დროს ხდება ახალგაზრდის საჭიროებების ანალიზი, უკუჩვენებების დადგენა და ჯანმრთელობის რისკების შეფასება; კლიენტს მიეწოდება დეტალური ინფორმაცია ჩასახვის საწინააღმდეგო სხვადასხვა მეთოდისა და მის მიერ შერჩეული მეთოდის შესახებ; ასევე ინფორმაცია დამატებითი მიმართვის შესახებ, მოულოდნელი პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში. კონტრაცეფციის დასაწყებად სასქესო ორგანოების გამოკვლევა საჭირო არ არის (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შერჩეულია საშვილოსნოსშიდა საშუალების გამოყენება). თუ საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელ პირს არ გააჩნია ჩასახვის საწინააღმდეგო ხანგრძლივი მოქმედების მოწყობილობის ჩადგმისთვის საჭირო კომპეტენცია ან სურვილი, საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელი პირი ახალგაზრდას გადაამისამართებს შესაბამის სპეციალისტთან, რომელსაც შეუძლია მოწყობილობის ჩადგმა. დანიშნულების განმეორებით გაცემისას საჭიროა ხელახალი კონსულტაცია, რომლის დროსაც განიხილება შესაძლო გვერდითი მოვლენები და წარმოებს რეკომენდაციის მიწოდება იმის თაობაზე, თუ როდის უნდა მიმართოს კლიენტმა ექიმს გამოკვლევაზე. დაუცველი სქესობრივი კავშირის შემდეგ ახალგაზრდას უტარდება კონსულტაცია გადაუდებელი კონტრაცეფციის აბების გამოყენებისა და შემდგომი კონტრაცეფციის, ასევე სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე (სგგი) ტესტირების აუცილებლობის შესახებ.

შედეგი: ახალგაზრდა კმაყოფილია კონსულტაციითა და კონტრაცეფციის შერჩეული მეთოდით, ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას შერჩეული მეთოდის შესახებ და, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, მას მიეწოდება ბუკლეტი ან სხვა წერილობითი ფორმით არსებული საინფორმაციო მასალა, ახალგაზრდა ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად და როდის მიმართოს დახმარებისთვის, ჯანმრთელობის მოულოდნელი პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში და დანიშნულების განმეორებით მიღებისთვის. აღნიშნული მომსახურება ამცირებს არასასურველი ორსულობისა ან სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) რისკს.

3.1.3 სგგი/აივ: ტესტირება, კონსულტირება, მკურნალობა

მიზანი: ახალგაზრდებს შორის სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) გავრცელების პრევენცია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული შესაბამისი

ინფორმაციის, ტესტირების, ვაქცინაციისა და რისკის შემცირების მიზნით წარმოებული საკონსულტაციო მომსახურებების საშუალებით.

სტრუქტურა: მომსახურება მიეწოდება ყველა ახალგაზრდას, რომელიც მიმართავს ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრს და გამოთქვამს სურვილს გაიაროს სგგი/აივ-ზე ტესტირება. მომსახურების შეთავაზება რეკომენდებულია ყველა ახალგაზრდისთვის, ვინც სხვა მიზეზით მიმართავს ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრს, თუმცა მასთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ ტესტირება აუცილებელია. ახალგაზრდებს სთავაზობენ დილის შარდის პირველი პორციის ანალიზს. გოგონებს, რომლებსაც არ სურთ გამოკვლევის ჩატარება, მაგრამ საჭიროებენ სგგი-ზე ტესტირებას, სთავაზობენ თვითშემოწმების და/ან შარდში სგგი-ის გამომწვევის გამოვლენის შესაძლებლობას. ახალგაზრდებს, რომლებსაც სურთ ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო (HPV) ვაქცინაციის ჩატარება, ან თუ ისინი მიმართავენ ცენტრს სხვა მიზეზის გამო, და დადგინდება, რომ მათ სჭირდებათ ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო (HPV) ვაქცინაცია, სთავაზობენ ინფორმაციას ადამიანის პაპილომავირუსის (HPV) საწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ. პერსონალი ფლობს პროფესიულ ცოდნასა და უნარებს (მათ შორის ცოდნას სგგი/აივ-ის ტესტირებისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებზე; სინჯების აღების უნარსა და კომპეტენციას), გავლილი აქვს ტრენინგი ახალგაზრდების კონსულტირების საკითხებზე, ასევე ფლობს დანიშნულების გაცემის უფლებას და ცოდნას ვაქცინაციის შესახებ. ცენტრს გააჩნია სასქესო ორგანოების გამოკვლევისა და სინჯის აღებისთვის საჭირო აღჭურვილობა, საინფორმაციო მასალები, სინჯების სათანადოდ შენახვის პირობები, ცენტრი თანამშრომლობს ლაბორატორიასთან, გააჩნია საინფორმაციო მასალები, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში უფასოდ გასცემს კონდომებს, გააჩნია პირველადი დახმარების საშუალებები (ანაფილაქსიური შოკის, გულყრის დროს გამოსაყენებლად). აღნიშნული მომსახურების გაწევა წარმოებს კლიენტის მიღების დროს (წინასწარი ჩაწერის ან/და ცოცხალი რიგის საფუძველზე).

მოკლე მიმოხილვა: ახალგაზრდის ანამნეზის გათვალისწინებით და მასთან თანამშრომლობის საფუძველზე ფასდება ახალგაზრდის სგგი/აივ-ით დაინფიცირების რისკი. სასქესო ორგანოების გამოკვლევას და ტესტირებას წინ უძღვის კონსულტაცია, რომლის დროსაც კლიენტს განემარტება, თუ რა დაავადებებზე ტარდება გამოკვლევა და რა პერიოდულობით არის საჭირო გამოკვლევის ჩატარება. ახალგაზრდას მიეწოდება ინფორმაცია იმ რისკების შესახებ, რომლებიც თან ახლავს სგგი/აივ-იზე ტესტირებისგან თავის არიდებას ან მკურნალობაზე უარის განცხადებას, რა გზებით ვრცელდება დაავადება, რომ აუცილებელია პარტნიორის (პარტნიორების) ტესტირება და მკურნალობა, რა

პრინციპებს ეფუძნება უსაფრთხო სქესობრივი კავშირები. ხდება ახალგაზრდების წახალისება, რათა მათ გამოიყენონ დამცავი საშუალებები და, საჭიროების შემთხვევაში, მათ ეხმარებიან თავდაჯერებულობის განმტკიცებაში და იმ მეთოდების ათვისებაში, რომელიც მათ დაეხმარება პარტნიორის (პარტნიორების) დარწმუნებაში, რათა მათ გამოიყენონ დამცავი საშუალებები. ვიზიტის დასასრულს სასურველია ახალგაზრდას წერილობითი ფორმით გადაეცეს ინფორმაცია ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული კვლევების შესახებ, რაც უზრუნველყოფს ჩატარებული კვლევის შესახებ ვიზიტორის დამატებით ინფორმირებულობას. აღნიშნული ცნობა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როდის და როგორ არის შესაძლებელი კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღება. ახალგაზრდას კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს როგორც დადებითი პასუხის, ასევე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, რაც ემსახურება ახალგაზრდის შფოთვის დონის შემცირებას. ცენტრის თანამშრომელი უკავშირდება კლიენტს თუ თავად კლიენტი ცენტრს შეთანხმებულ დროს, დამოკიდებულია კონკრეტული ცენტრის მომსახურებათა ორგანიზებაზე. სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) მკურნალობა ხორციელდება შესაბამისი მოქმედი პროტოკოლის მიხედვით. ახალგაზრდა იღებს ინფორმაციას დაავადების რაობის, შესაძლო შედეგებს, მკურნალობის აუცილებლობის (პარტნიორის/პარტნიორების მკურნალობის საჭიროების ჩათვლით), მკურნალობის სქემის, შესაძლო გვერდითი მოვლენების, მკურნალობის დროს დასაცავი რეჟიმისა და კონტროლის მიზნით კვლევის განმეორების დროის შესახებ. სქესობრივი გზით გადამდები ინფექციის (სგგი) დიაგნოზის შემთხვევაში, ივსება შეტყობინება, რომელიც ეგზავნება ჯანდაცვის დეპარტამენტს. აივ-ის დიაგნოზის შემთხვევაში, პირველადი კონსულტაციის შემდეგ, ახალგაზრდა გადამისამართდება ექიმ-ინფექციონისტთან, სამკურნალოდ და ინფექციის მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით. სურვილის შემთხვევაში ახალგაზრდის გადამისამართება წარმოებს ადამიანის პაპილომავირუსის (HPV) საწინააღმდეგო ვაქცინაციაზე.

შედეგი: მცირდება სგგი/აივ-ით ინფიცირების შემთხვევები. ახალგაზრდები ეცნობიან სგგი/აივ-ის გავრცელების გზებსა და ვის და როგორ უნდა მიმართონ მომავალში, სგგი/აივ-ზე ტესტირების საჭიროების შემთხვევაში. ახალგაზრდებს შორის მცირდება საფრთხის შემცველი ქცევის გამოვლენის რისკი, ისინი უკეთ არიან ინფორმირებულნი უსაფრთხო სქესობრივი კავშირების შესახებ, იზრდება დამცავი საშუალებების გამოყენების მოტივაცია, ახალგაზრდები უფრო მეტ თავდაჯერებულობას იჩენენ სექსუალურ ურთიერთობებში და არ ერიდებიან პარტნიორს/პარტნიორებს დამცავი საშუალებების გამოყენების თხოვნით მიმართონ.

3.1.4 გინეკოლოგიური გამოკვლევა/სასქესო ორგანოების გამოკვლევა

მიზანი: სასქესო ორგანოების გამოკვლევა, რომლის დროსაც ახალგაზრდა გრძნობს, რომ მას პატივისცემით ეპყრობიან; ახალგაზრდა ეცნობა გამოკვლევის შედეგებს.

სტრუქტურა: მომსახურება მიეწოდება ყველა ახალგაზრდას, რომელიც მიმართავს ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრს და გამოთქვამს სურვილს გაიაროს შემოწმება; რომელსაც აქვს შესაბამისი ჩივილები; და რომელთა ტესტირებაც აუცილებელია სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე (სგგი). მომსახურების შეთავაზება რეკომენდებულია ახალგაზრდა ქალებისთვის, რომელთაც უტარდებათ გინეკოლოგიური გამოკვლევა. პერსონალი ფლობს პროფესიულ ცოდნასა (მათ შორის ცოდნას სგგი-ის შესახებ და სქესობრივი განვითარების შესახებ) და როგორც გოგონების, ასევე ბიჭების შემოწმების უნარებს, გავლილი აქვს ტრენინგი ახალგაზრდების კონსულტირების საკითხებზე, ასევე ფლობს დანიშნულების გაცემის უფლებას. ცენტრს გააჩნია გინეკოლოგიური სავარძელი და სასქესო ორგანოების გამოკვლევისთვის საჭირო აღჭურვილობა, საინფორმაციო მასალები, სინჯების სათანადოდ შენახვის პირობები, ცენტრი თანამშრომლობს ლაბორატორიასთან, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში უფასოდ გასცემს კონდომებს, ცენტრი ფლობს ულტრაბგერითი გამოკვლევისთვის საჭირო აპარატს. აღნიშნული მომსახურების გაწევა წარმოებს წინასწარი ჩაწერის საფუძველზე.

მოკლე მიმოხილვა: გამოკვლევას წინ უძღვის ანამნეზის შეგროვება, კონსულტაციის ფორმით გასაუბრება, მათ შორის ახალგაზრდისთვის გამოკვლევის ეტაპების ახსნა. გამოკვლევისას ახალგაზრდას, მისთვის გასაგებ ენაზე, ეცნობება და განემარტება ის გადახრები, რომლებიც გამოკვლევის შედეგად ვლინდება. საჭიროების შემთხვევაში, საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელი პირი, საკუთარი ინიციატივით, კლიენტს სთავაზობს კონსულტაციას კონტრაცეფციის საკითხებზე, სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე (სგგი) ტესტირებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციას, გინეკოლოგიურ გამოკვლევას. სათანადო ჩვენების შემთხვევაში, ახალგაზრდა იგზავნება სამკურნალოდ სხვა სამედიცინო დაწესებულებაში.

შედეგი: ახალგაზრდა გრძნობს რომ მას პატივისცემით ეპყრობიან და თავს ინფორმირებულად მიიჩნევს; მას აქვს ცოდნა სასქესო ორგანოების ანატომიისა და ფიზიოლოგიის შესახებ, ასევე, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის და/ან რა პერიოდულობით უნდა ჩაიტაროს გამოკვლევები. ახალგაზრდა მომავალში თავს აღარ შეიკავებს გამოკვლევების ჩასატარებლად სამედიცინო დაწესებულებაში გამოცხადებისგან, უმჯობესდება თავდაჯერება მისი სხეულისა და განვითარების მიმართ.

3.1.5 ორსულობის დიაგნოსტირება, კონსულტირება და შემდგომი ქმედებები. კონსულტირება და ორსულობისას ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი

მიზანი: სხვადასხვა შესაძლო ქმედებათა გაცნობა და შემდგომი ქმედებების დაგეგმვა, ამ მიმართულებით კონსულტაცია, ახალგაზრდის მიერ გაკეთებული არჩევანისა და იმ ასპექტების საფუძველზე, რომელსაც იგი უპირატესობას ანიჭებს.

სტრუქტურა: მომსახურება მიეწოდება ყველა ახალგაზრდას, რომელიც მიმართავს ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრს ორსულობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მომსახურება გულისხმობს კონსულტაციის მიზნით გასაუბრებასა და ინფორმაციის მიწოდებას. პერსონალი ფლობს პროფესიულ ცოდნასა (მათ შორის ორსულობის დადგენის, ორსულობის დროს ზედამხედველობის, მოზარდობის პერიოდში ორსულობასთან დაკავშირებული საკითხებისა და ამგვარი ორსულობის შეწყვეტის, ასევე კონსულტირების საფუძვლების შესახებ) და შესაბამის უნარებს, გავლილი აქვს ტრენინგი ახალგაზრდების კონსულტირების საკითხებზე, ასევე ფლობს დანიშნულების გაცემის უფლებას. ცენტრს გააჩნია ორსულობის დადგენისთვის საჭირო ლაბორატორიული და ტექნიკური აღჭურვილობა (ორსულობის დასადგენი ტესტები, ულტრაბგერითი გამოკვლევისთვის საჭირო აპარატი) და სათანადო ანალიზების ჩატარებისთვის საჭირო აღჭურვილობა, ასევე ორსულობისას ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგისათვის საჭირო აღჭურვილობა, რომლებიც გათვალისწინებულია სათანადო მოქმედი პროტოკოლებით.

მოკლე მიმოხილვა: კლიენტს მიეწოდება საკონსულტაციო მომსახურება გამხნევების მიზნით. ახალგაზრდას მიეწოდება რეკომენდაცია გაესაუბროს ახლობელ ადამიანს, და, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგს და/ან სოციალურ მუშაკს. თუ ახალგაზრდას გადაწყვეტილი აქვს ბავშვის გაჩენა, მას უტარდება ყველა საჭირო გამოკვლევა და ანალიზი, ეცნობება ორსულობის დროს ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის შესაძლებლობების შესახებ (ანტენატალური კლინიკა, ოჯახის ექიმი, ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრი), იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი გამოთქვამს სურვილს, ორსულობის დროს ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის შესახებ ესტონეთის გინეკოლოგთა საზოგადოების მითითებების შესაბამისად. თუ კლიენტს სურს ორსულობის შეწყვეტა, ტარდება ყველა საჭირო გამოკვლევა, მას მიეწოდება მეცნიერულად დამტკიცებული ინფორმაცია აბორტის მეთოდების შესახებ; გაიცემა მიმართვა აბორტზე და ინფორმაცია აბორტის განმახორციელებელი სხვადასხვა დაწესებულებების შესახებ; იმართება კონსულტაცია ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალების შერჩევის შესახებ; მიღწეულია შეთანხმება აბორტის შემდგომი

მდგომარეობის კონტროლზე. აბორტის თაობაზე კონსულტაცია ეფუძნება ესტონეთის გინეკოლოგთა საზოგადოების რეკომენდაციებს.

შედეგი: ახალგაზრდა იღებს გადაწყვეტილებას მისთვის მიწოდებული მეცნიერულად დამტკიცებული ინფორმაციის საფუძველზე. ახალგაზრდას ესმის ორსულობის დროს ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელობა. არასასურველი ორსულობის პრევენცია. განმეორებითი აბორტების რაოდენობის შემცირება.

3.1.6 სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო მომსახურება

მიზანი: სექსუალური ძალადობის შემდეგ ახალგაზრდის მხარდაჭერა, საჭიროების შემთხვევაში, მისთვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა.

სტრუქტურა: მომსახურება მიეწოდება ყველა ახალგაზრდას, რომელიც მიმართავს ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრს მათ მიმართ გახორციელებული სექსუალური ძალადობის შემდეგ (ამასთან, როგორც უშუალოდ ცენტრისთვის მიმართვამდე გახორციელებული სექსუალური ძალადობის, ასევე წარსულში მათ მიმართ გახორციელებული სექსუალური ძალადობის შემთხვევაში). პერსონალი ფლობს პროფესიულ ცოდნას, მათ შორის ცოდნას გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესახებ, ორსულობის დადგენის მეთოდების შესახებ (ორსულობის დასადგენი ტესტები, საჭიროების შემთხვევაში ულტრაბგერითი გამოკვლევა) და შესაბამის უნარებს, ასევე ფლობს ცოდნას ორსულობის პრევენციის, სგგი-ის, მათ შორის აივ-ის დიაგნოსტირებისა და პრევენციის შესახებ; ორსულის მდგომარეობის აღწერისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენისთვის, ასევე ანალიზისთვის სინჯების აღებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს; გავლილი აქვს ტრენინგი ახალგაზრდების კონსულტირების საკითხებზე. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრები თანამშრომლობენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცენტრებთან, ბავშვთა სახლებთან, სასამართლო ექსპერტებთან, პოლიციასთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩართული არიან მსხვერპლთა დახმარების საქმეში.

მოკლე მიმოხილვა: კლიენტს მიეწოდება პირველადი საკონსულტაციო მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში, წარმოებს გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა; ანამნეზის შეგროვება და ახალგაზრდის მდგომარეობის დოკუმენტირება; საჭიროების შემთხვევაში, სგგი-ის, მათ შორის აივ-ის დიაგნოსტირება; ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გადაუდებელი პოსტკოიტალური კონტრაცეფცია და სგგი-ს პრევენცია. აუცილებლობის შემთხვევაში, წარმოებს კლიენტის გადამისამართება ექიმ-ინფექციონისტთან (ექსპოზიციის შემდგომი აივ ინფექციის პროფილაქტიკისა და მედიკამენტური ჩარევის აუცილებლობის შესაფასებლად),

ფსიქოლოგთან და მსხვერპლთან მუშაობის სპეციალისტთან. ცენტრი თანამშრომლობს იურიდიული დახმარების სისტემასთან. წარმოებს შემდეგი ვიზიტის დროის დაგეგმვა. თუ პაციენტს ჯერ არ მიუმართავს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების ცენტრისთვის, მაშინ, შესაძლებლობის არსებობისას და პაციენტის მოთხოვნით, წარმოებს მისი გაგზავნა ასეთი დახმარების ცენტრში, სადაც იგი იღებს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილ სტანდარტულ დახმარებას.

თუ ძალადობა მოხდა წარსულში, შესაძლოა საჭირო გახდეს ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ფსიქოთერაპიის ჩართვა.

შედეგი: ახალგაზრდა უმკლავდება სექსუალური ძალადობის შედეგად გამოწვეულ კრიზისს, რის შედეგადაც მცირდება მისთვის მიყენებული ზიანი.

3.1.7 ფსიქოლოგიური კონსულტაცია/ფსიქოთერაპია

მიზანი: ახალგაზრდების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

სტრუქტურა: მომსახურება მიეწოდება ყველა ახალგაზრდას, რომელიც მიმართავს ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრს და საჭიროებს ფსიქოლოგის კონსულტაციას. მომსახურების შეთავაზება რეკომენდებულია ახალგაზრდებისთვის, ვინც სხვა მიზეზით მიმართავენ ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრს, თუმცა მათთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ ისინი საჭიროებენ ფსიქოლოგიურ კონსულტაციას. შესაძლებლობების არსებობისას, აღნიშნული მომსახურების შეთავაზება წარმოებს პირებისთვის, რომლებიც ცენტრს მიმართავენ არასასურველ ორსულობასთან დაკავშირებით, მათ მიმართ გახორციელებული სექსუალური ძალადობის ან ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემდეგ, და ა.შ., პრობლემის ხასიათისა და ახალგაზრდის საჭიროებების გათვალისწინებით. პერსონალი ფლობს პროფესიულ ცოდნას და უნარებს ფსიქოლოგიური კონსულტირების/ფსიქოთერაპიის სფეროში და გავლილი აქვს ტრენინგი ახალგაზრდების კონსულტირების საკითხებზე. მსგავსი გასაუბრებისათვის საჭიროა შესაფერისი სივრცის გამოყოფა. საჭიროების შემთხვევაში და დახმარების საჭიროების მქონე პირის თანხმობით, ახალგაზრდა შესაძლებელია გადამისამართდეს სხვა სპეციალისტთან, პრობლემის არსის გათვალისწინებით.

მოკლე მიმოხილვა: პირველადი და საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი ფსიქოლოგიური კონსულტაცია, ფსიქოთერაპიის საჭიროების შეფასება,

ფსიქოთერაპიის სეანსების განხორციელება. ანამნეზის, კლიენტის მდგომარეობის, ჩატარებული ინტერვენციის/თერაპიის დოკუმენტარება.

შედეგი: პრობლემა გადაჭრილია იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც გაეწიათ დახმარება, მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.

3.2 წვლილი სექსუალური განათლების სფეროში

ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრები ჩართული არიან საგანმანათლებლო საქმიანობაში სექსუალური განათლების მიმართულებით. ცენტრები ფლობენ ამ მიზნით საჭირო სასწავლო რესურსებსა და მასალებს, ჰყავთ კომპეტენტური მასწავლებლები და აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ მათი კუთვნილი ფართი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის. ჯგუფურ საგანმანათლებლო მუშაობაში მონაწილეობა უფრო მეტ ახალგაზრდას (მათ შორის სარისკო ქცევის მქონე ახალგაზრდებს) აძლევს საშუალებას მიიღონ ინფორმაცია ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების არსებობის შესახებ და გაეცნონ მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებებსა და შესაძლებლობებს. ალბათობა იმისა, რომ ახალგაზრდამ მიმართოს ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრს სამედიცინო მომსახურების მისაღებად, იზრდება, თუ მას მონაწილეობა აქვს მიღებული ამ ცენტრის მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო ჯგუფურ მუშაობაში. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიერ შეთავაზებული სექსუალური განათლება სავალდებულო სასკოლო სექსუალური განათლებისა და ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრებში მიღებული ინდივიდუალური კონსულტაციების დამატებას წარმოადგენს.

ადგილობრივ სკოლებს სთავაზობენ შესაძლებლობას ეწვიონ ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრებს, სექსუალური განათლებისა და ინდივიდუალური მიმართვების ხელშეწყობის მიზნით.

ამ მიზნით, ცენტრები რეგულარულად უგზავნიან სკოლებს ინფორმაციას საგანმანათლებლო ღონისძიებების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, სკოლები მართავენ საინფორმაციო შეხვედრებს მასწავლებლებისთვის. მასწავლებელს ან სკოლის ექიმს მიჰყავს მოსწავლეების ჯგუფი ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრში; ჯგუფისთვის დაგეგმილი ღონისძიების დროზე შეთანხმება შეუძლიათ აწარმოონ თავად მოსწავლეებმა. მოსწავლეები სტუმრობენ ცენტრს, წინასწარ შეთანხმებულ დროს, სადაც მათ ხვდებათ სპეციალურად

ჯგუფის მისაღებად გამოყოფილი სივრცე. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრის პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების წარმართვაზე, ფლობს პედაგოგიურ უნარებს, საჭირო სასწავლო საშუალებებსა და საინფორმაციო მასალებს. საგანმანათლებლო ღონისძიების ფარგლებში ახალგაზრდები ეცნობიან ცენტრს, მისი მუშაობის ორგანიზებასა და თანამშრომლებს, რაც ამცირებს მოგვიანებით ცენტრში მიმართვის შესაძლო ბარიერებს - თუ ახალგაზრდებს მიღებული აქვთ მონაწილეობა ცენტრის მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო ღონისძიებაში, იზრდება ალბათობა იმისა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ისინი დამოუკიდებლად მიმართავენ ცენტრს დახმარების მისაღებად. ყველა მოსწავლე, რომელიც სკოლაში იღებს განათლებას (სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსისა და სარისკო ქცევის სხვადასხვა დონის მქონე ახალგაზრდები) იღებს მონაწილეობას ასეთ საგანმანათლებლო ღონისძიებებში. ცენტრში ჯგუფური ვიზიტის დამატებით სარგებელს წარმოადგენს ის, რომ ეს ახალისებს სარისკო ქცევის მქონე ახალგაზრდებს დახმარებისთვის მიმართონ ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრს. ცნობილია, რომ სარისკო ქცევის მქონე ახალგაზრდები ნაკლებად სტუმრობენ ჯანდაცვის დაწესებულებებს და ნაკლებად სარგებლობენ მათ მიერ შეთავაზებული მომსახურებებით, ვიდრე ის ახალგაზრდები, რომელთა ქცევაც ნაკლებად სარისკოა.

შესაბამისი სივრცის არარსებობის შემთხვევაში, ან მოსწავლეთა მოთხოვნით, საგანმანათლებლო ღონისძიება იმართება დამკვეთის მიერ შერჩეულ შენობაში. ღონისძიების ერთ-ერთი ნაწილი ყოველთვის არის ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი ადგილობრივი საკონსულტაციო ცენტრისა და მის მიერ შეთავაზებული მომსახურებების მოსწავლეებისათვის გაცნობა.

ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიერ შეთავაზებული სექსუალური განათლება წარმოადგენს სკოლის ფარგლებში შესაბამისი განათლების დამატებას. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრები იყენებენ სწავლების ინოვაციურ მეთოდებს და განიხილავენ თემებს, რომლებიც ხშირად არ შუქდება სკოლაში. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრები თანამშრომლობენ სტუდენტებთან, რომლებიც კითხულობენ ლექციებს სკოლებში, ახალგაზრდულ ღონისძიებებზე და ა.შ. შედეგად, ახალგაზრდები იღებენ ინფორმაციას ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების არსებობის შესახებ და ამ ცენტრების მიერ შეთავაზებული მომსახურებების შესახებ. ცენტრების კლიენტებს შორის იზრდება დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ან სარისკო ქცევის მქონე ახალგაზრდების რაოდენობა.

3.3 ტელეკონსულტაცია

სატელეფონო კონსულტაცია საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს დაუყოვნებლივ მიიღონ დახმარება გადაუდებელი პრობლემის გადასაჭრელად, ასევე მიიღონ პასუხები კითხვებზე, რომლებიც არ საჭიროებს პირისპირ დიალოგს. აღნიშნული, ერთი მხრივ, ამცირებს განმეორებითი ვიზიტების აუცილებლობას და, მეორე მხრივ, წარმოადგენს ახალგაზრდების წახალისების საშუალებას, არ აარიდონ თავი ცენტრში ვიზიტს, საჭიროების შემთხვევაში. ის ფაქტი, რომ სატელეფონო კონსულტაციისას დაცულია ანონიმურობა, შესაძლოა გამბედაობას მატებდეს ზოგიერთ ახალგაზრდას, მოიძიონ სპეციალისტი. სასურველია, რომ სატელეფონო კონსულტაციები იმართებოდეს გარკვეული დროს და მათ წარმართავდეს საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელი პირი, რომელსაც ამავდროულად არ აქვს სხვა სამუშაო მოვალეობები. ტელეფონით ვიზიტზე ჩაწერა ხორციელდება სატელეფონო კონსულტაციებისგან დამოუკიდებლად, ვიზიტის დაჯავშნა უნდა წარმოებდეს ცენტრის მთელი სამუშაო დროის განმავლობაში.

4. ხარისხის გაუმჯობესება

4.1 ზოგადი მიმოხილვა

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით ხარისხიანი მომსახურება იწვევს კმაყოფილი და ინფორმირებული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდას, რაც რისკის შემცველი სექსუალური ქცევის შემცირებით, უსაფრთხო ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და სასურველი ბავშვების დაბადების წინაპირობას წარმოადგენს.

მომსახურების ხარისხზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები: ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების შექმნა და ფუნქციონირება, მომსახურებათა ხელმისაწვდომობა, ტექნიკური შესაძლებლობები, ფინანსური შესაძლებლობები, მომსახურებათა ღირებულება (კლიენტებისთვის), შეთავაზებული მომსახურებების სპექტრი, პერსონალის კომპეტენტურობა, პერსონალის ურთიერთობა ახალგაზრდებთან, ახალგაზრდების კმაყოფილება, ვიზიტის ხანგრძლივობა, მომსახურების თანმიმდევრობა (განმეორებითი ვიზიტების შესაძლებლობა), მომსახურების ზემოქმედება რისკის შემცველ ქცევაზე და ა.შ. მომხმარებლებისათვის შეუმჩნევლად რჩება მომსახურების ხარისხის ის ასპექტები, რომლებიც აუცილებელია მომსახურების განსახორციელებლად, როგორიცაა, მაგალითად, მომსახურების შემოტანის შესახებ გადაწყვეტილება, მომსახურების დაფინანსება, მომსახურების დაგეგმვა და მართვა.

ჯუდიტ ბრიუსი გამოყოფს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურების ხარისხის ექვს მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლებსაც ჩვენ ვითვალისწინებთ ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვისას.

არჩევანის შესაძლებლობა - ორსულობის პრევენციის მეთოდი, ტესტირება და ა.შ. მომსახურების ხარისხს განაპირობებს, მაგალითად ის, თუ რა მეთოდებს სთავაზობენ სხვადასხვა ასაკის, სქესის, კონტრაცეფციისათვის სხვადასხვა ხარისხით მზადყოფნის მქონე, ჯანმრთელობის სხვადასხვა მდგომარეობისა და შემოსავლების სხვადასხვა დონის მქონე ადამიანებს; როგორ აკმაყოფილებს შეთავაზებული არჩევანი ინდივიდუალური პირების (მაგალითად, მოზარდების) სხვადასხვა საჭიროებებს და ა.შ.

საკმარისი ინფორმირებულობა - საკმარისია თუ არა ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია, მაგალითად, იმისათვის რომ კლიენტმა დამოუკიდებლად გააკეთოს

არჩევანი, სწორად და თანმიმდევრულად გამოიყენოს ჩასახვის საწინააღმდეგო მის მიერ შერჩეული მეთოდი. ასეთი ინფორმაცია მოიცავს, მაგალითად, სხვადასხვა მეთოდების აღწერას, შერჩეული მეთოდის ცნობილ უკუჩვენებებს, მის სარგებელსა და რისკებს, გვერდით მოვლენებს, გამოყენების ინსტრუქციას, ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვის უნდა მიმართონ დამატებითი რჩევისა და დახმარების მისაღებად.

პერსონალის კომპეტენცია – პერსონალის პროფესიული ცოდნა და უნარები, არსებული პროტოკოლების დაცვა, საკომუნიკაციო და საკონსულტაციო უნარები.

ადამიანებთან ურთიერთობა - პერსონალსა და კლიენტს შორის ურთიერთობა უკავშირდება საკონსულტაციო მომსახურების არსს, მენეჯმენტს, დაფინანსებას (მაგალითად, ერთი კლიენტისთვის დათმობილ დროს); ურთიერთობას თანამშრომლებს შორის და ა.შ.

მომსახურების თანმიმდევრულობა – მექანიზმები (მაგ., სტაბილური დაფინანსება, პერსონალის მომზადება, ცენტრების ქსელის მართვა), რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების მდგრად და თანმიმდევრულ მიწოდებას (განმეორებითი ვიზიტები, კონსულტაცია, მდგომარეობის დამატებითი მონიტორინგი და ა.შ.).

შემოთავაზებულ მომსახურებათა მიწოდების ადგილმდებარეობა და სპექტრი, ახალგაზრდების საჭიროებების დაკმაყოფილება - მოსახერხებელია თუ არა მომსახურებებით სარგებლობა, არის თუ არა პერსონალი კეთილგანწყობილი კლიენტების მიმართ?

ბრიუსის მიერ შემოთავაზებული ხარისხის კომპონენტები შეიძლება გამოყენებულ იქნას მომსახურებათა შესაფასებლად (იგულისხმება როგორც ცენტრის მიერ წარმოებული, ასევე გარე შეფასება), პრობლემების იდენტიფიცირებისთვის, მიზნების დასახვისთვის, ხარისხის მაჩვენებელთა განსაზღვრისთვის და უკუკავშირის მოსაპოვებლად. ამ კომპონენტების შესაფასებლად შეიძლება შემუშავდეს მომსახურების ხარისხის სხვადასხვა ინდიკატორი, მაგალითად, კონტრაცეფციის მეთოდების შეთავაზებული არჩევანი, ტესტირების შესაძლებლობები და ა.შ.; საკონსულტაციო პროცესის შეფასება, კლიენტის კმაყოფილება (რომელსაც განაპირობებს შეთავაზებული არჩევანი, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა) და ა.შ.

4.2 ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

4.2.1 ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები: გაუმჯობესება და მონიტორინგი

ხარისხისადმი წაყენებული, მუდმივად შევსებადი, წერილობითი ფორმით არსებული მოთხოვნები წარმოადენს ახალგაზრდებისათვის კარგად ორგანიზებული, სანდო და მაღალი ხარისხის საკონსულტაციო მომსახურების გაწევის საწინდარს. შედეგად, ცენტრის მუშაობა ურო ეფექტური და სტანდარტებთან მეტად შესაბამისი ხდება.

ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიერ შეთავაზებული მომსახურებების ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭირო ინსტრუქციების შემუშავება და გაუმჯობესება

წერილობითი ფორმით არსებული დოკუმენტი „ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობის პრინციპები და ინსტრუქციები მათი საქმიანობის ხარისხის უზრუნველსაყოფად“ არის დოკუმენტი, რომელიც ექვემდებარება განახლებას, ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების, ამ ცენტრების ქსელის მაკოორდინირებელი უწყების ან ცენტრების საქმიანობის დამფინანსებელი ინსტანციის მხრიდან შემოსული წინადადებების საფუძველზე. დოკუმენტი წარმოადგენს საკონსულტაციო ცენტრების შიდა ორგანიზებისა და მათი საქმიანობის შეფასების საფუძველს. ინსტრუქციებს ახლავს ცენტრების ქსელის მართვისა და ცენტრების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი დოკუმენტები: მოვალეობებთან დაკავშირებული ინსტრუქციები, სტატისტიკის შეგროვების ფორმა, კლიენტთა გამოხმაურების ფორმები, კითხვარები გამოკითხვისთვის და ა.შ. ყველა ჩამოთვლილი ქმნის ერთიან დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზეც წარმოებს ახალგაზრდული საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობის შეფასება.

ცენტრების მუშაობის გარე შეფასება

ცენტრების მუშაობის გარე შეფასების მიზანია ცენტრის მუშაობის ხელშეწყობა და პრაქტიკული რეკომენდაციების მიწოდება სამუშაოს უკეთ ორგანიზებისა და მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ცენტრების მუშაობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი

ცენტრების კლიენტთა შესახებ სტატისტიკური მონაცემები გროვდება ყოველკვარტალურად. შეგროვებული მონაცემები ხელს უწყობს ცენტრის ფაქტობრივი შესაბამისობის შეფასებას ხარისხის მოთხოვნებთან და მოქმედ პროტოკოლებთან.

4.2.2 მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

მიზანს წარმოადგენს სამიზნე ჯგუფისა და მასთან დაკავშირებული სხვა ჯგუფების ინფორმირებულობის გაზრდა, ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიერ შეთავაზებული მომსახურებების შესახებ.

აქტივობები სამიზნე ჯგუფის ინფორმირებისთვის

სამიზნე ჯგუფს ყოველწლიურად უერთდებიან ახალგაზრდები, ამიტომ აუცილებელია მათი უწყვეტ რეჟიმში ინფორმირება. ახალგაზრდები, რომლებიც ინდივიდუალურად სტუმრობენ ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრებს, ცენტრის არსებობის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროდ, პირველ რიგში, ასახელებენ მეგობრებსა და თანატოლებს, შემდეგ სკოლას, ინტერნეტს და ოჯახის ზრდასრულ წევრებს. ინფორმაციის ეს წყაროები გასათვალისწინებელია საქმიანობის დაგეგმვისას. ახალგაზრდების ინფორმირებისთვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ცენტრების მიერ ორგანიზებული აქტივობები სექსუალური განათლების მიმართულებით.

ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი ინფორმაცია ცენტრების მიერ შეთავაზებული მომსახურებების შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინტერნეტში, სოციალურ ქსელებში და მიეწოდებოდეს ახალგაზრდებს სხვა მსგავსი არხებით.

თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა

ვინაიდან ზოგიერთი ახალგაზრდისთვის, მათ შორის სოფლად მცხოვრები, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე, სხვა ენაზე მოსაუბრე და სხვა უფრო დაუცველი ახალგაზრდებისთვის ცენტრებში მოხვედრა შეიძლება უფრო რთული იყოს, საჭიროა ინტერნეტში ინფორმაციისა და კონსულტაციების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

ბიჭების მიმართვიანობის ზრდას იგივე ფაქტორები უწყობს ხელს, რომლებიც გოგონების მიმართვიანობის ზრდას განაპირობებს; ესენია: სწრაფი მომსახურება რიგებში ხანგრძლივი მოლოდინის საჭიროების გარეშე, კონფიდენციალურობა, პროფესიონალი პერსონალი და ადვილად მისადგომი ადგილმდებარეობა.

ახალგაზრდების მიმართ კეთილგანწყობილი გარემოს შესაქმნელად და მომსახურების უზრუნველსაყოფად გასათვალისწინებელია ახალგაზრდების ენობრივი ფონი.

4.2.3 კლიენტთა კმაყოფილების კვლევა

კლიენტთა კმაყოფილების უზრუნველსაყოფად, ცენტრები იცავენ ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მუშაობის პრინციპებსა და ხარისხის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. ამოცანას წარმოადგენს კლიენტთა მომსახურების მუდმივად მაღალი დონე და ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მუშაობით კმაყოფილების უზრუნველყოფა.

კლიენტთა უკუკავშირი

ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების კლიენტებსა და ახალგაზრდების მიმართ კეთილგანწყობილი მომსახურებებით მოსარგებლე პირებს უნდა ჰქონდეთ უკუკავშირის დამყარების შესაძლებლობა. ამგვარი უკუკავშირი გამოიყენება მომსახურებათა გაუმჯობესებისთვის.

მომსახურებათა მიმწოდებელი ნებისმიერი დაწესებულების მთავარ ვებ-გვერდზე უნდა იყოს უზრუნველყოფილი უკუკავშირის დამყარების შესაძლებლობა, ასევე საჭიროა ცენტრში წერილობითი უკუკავშირის დატოვების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

<u>ინდიკატორები:</u>

- კლიენტთა მიერ მომსახურების ხელმისაწვდომობის, შენობების კეთილმოწყობის, სამუშაოს ორგანიზების, თანამშრომლების კომპეტენციის, ცენტრში ვიზიტთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტების შეფასება (კმაყოფილების კვლევის მონაცემები); ტენდენციები ფასდება განმეორებითი კვლევებით.

კლიენტთა კმაყოფილების კვლევა

მომსახურებათა მიმწოდებლებს შეუძლიათ, სურვილის შემთხვევაში, ჩაატარონ კლიენტთა კმაყოფილების კვლევა. კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომსახურების მიმწოდებლების მთავარ გვერდზე.

4.2.4 პერსონალის კომპეტენტურობა

მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მხარდაჭერა და მათ მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, პერსონალის კომპეტენციის განვითარებით. ძალისხმევა მიმართულია ცნობიერების ამაღლებაზე (კომუნიკაციისა და კონსულტაციის უნარები, პროფესიული კომპეტენცია), კმაყოფილების ზრდაზე, გუნდური მუშაობისა და კოლეგიალობის ხელშეწყობაზე.

სამუშაო მოვალეობებთან დაკავშირებული ინსტრუქციები

წარმოებს სამუშაო მოვალეობების განსაზღვრა, რომელიც მოიცავს საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელ პირთა ძირითადი უნარებისა და მოვალეობების, სამუშაოს შესრულებისთვის აუცილებელი დამხმარე საშუალებების, მოვალეობების და უფლებების და პასუხისმგებლობების აღწერას. ახალი თანამშრომლის სამუშაოზე აყვანის წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს მისი კომპეტენციების შესაბამისობა სამუშაო მოვალეობებთან დაკავშირებულ ინსტრუქციებთან.

კვალიფიკაციის ამაღლება ახაგაზრდებისთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მიმართულებით

კვალიფიკაციის რეგულარული ამაღლება აუმჯობესებს პერსონალის კომპეტენტურობის ხარისხს, ხელს უწყობს სხვადასხვა სპეციალისტებს შორის თანამშრომლობასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

შესაძლებლობების არსებობისას, ახლად დაარსებული ცენტრების პერსონალს სთავაზობენ ადგილზე სტაჟირებას (რა დროსაც მენტორი მუშაობს ახალ ცენტრში) ან წარმატებულ ცენტრში სტაჟირების გავლას. ახალ თანამშრომლებს, როგორც წესი, სათანადო კვალიფიკაცია აქვთ (ექიმი, ბებიაქალი და ა.შ.) თუმცა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში ახალგაზრდებთან მუშაობის მიმართულებით სპეციალური მოზადება არ აქვთ გავლილი; შესაბამისად, საჭიროა პერსონალის მომზადება ახალგაზრდებისათვის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

კომპეტენტურობის შეფასება

პერსონალის კომპეტენტურობის შეფასების მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელი პირების კვალიფიკაციის სტაბილურობის უზრუნველყოფა, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის მათი მოტივირების გზით. აღნიშნული, თავის მხრივ, აუცილებელია ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიერ შეთავაზებული მომსახურებების ხარისხის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, კომპეტენტურობის შეფასების შედეგები ხელს უწყობს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მომავალი ტრენინგების უკეთ დაგეგმვას.

პროტოკოლები, საკონტროლო სიები

გამოიყენება პროფესიული საზოგადოებების მიერ შემუშავებული და მოქმედი პროტოკოლები.

<u>ინდიკატორები:</u>

- წლის განმავლობაში ჩატარებული ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ზედამხედველობა, მენტორობა და მათში მონაწილე პერსონალის რაოდენობა;
- პერსონალის რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი ახალგაზრდებისთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მიმართულებით;
- პროტოკოლების (ანამნეზის შეგროვების ფორმა, კითხვარი ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების შესახებ) და საკონტროლო სიების შედგენა, პერსონალისთვის მათი გაცნობა. პროფესიული საზოგადოებების მიერ შემუშავებული პროტოკოლების დანერგვისას, პერსონალისათვის მათი გაცნობა, ზაფხულის ტრენინგებზე ან რეგულარულად გამართულ საინფორმაციო შეხვედრებზე;
- კომპეტენციების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების საშუალო შეფასება პერსონალის მიერ (პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები, უკუკავშირი ტრენინგის შესახებ; მონაცემებს აგროვებს და აანალიზებს კვლევის ან ტრენინგის ჩატარებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტი);
- პერსონალის უკუკავშირი ტრენინგზე, ზედამხედველობაზე და ა.შ. (ტრენინგის შეფასების კითხვარების გაანალიზების საფუძველზე, მონაცემებს აგროვებს და აანალიზებს ტრენინგის ჩატარებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტი).

4.2.5 ხელმძღვანელობის გაუმჯობესება

მიზანს წარმოადგენს ცენტრებში თანმიმდევრული და მზარდი გუნდური მუშაობის უზრუნველყოფა, ასევე ცენტრების ქსელის მუშაობის კოორდინირება, უფრო ეფექტური მართვის გზით.

ქსელის მართვის სტრუქტურის განვითარება

ცენტრების ქსელის ხარისხიანი მუშაობისთვის საჭიროა საორგანიზაციო უწყება, რომელიც კოორდინირებას გაუწევს მის საქმიანობას. ქსელის მართვისა და განვითარების აქტივობები პირდაპირ კავშირშია ცენტრების საქმიანობის სტაბილურ დაფინანსებასთან.

სამუშაო ჯგუფის შექმნა ემსახურება ყველა მხარის ინტერესების მაქსიმალურად სრულად წარმოდგენას. სამუშაო ჯგუფი უნდა შედგებოდეს როგორც დიდი, ისე მცირე ცენტრების წარმომადგენლებისგან; მაკოორდინირებელი უწყების

წარმომადგენლებისგან; ახალგაზრდებისთვის საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელი სხვადასხვა სპეციალობის პერსონალისგან; სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებისგან. სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში მონაწილეობა შეუძლიათ ცენტრების იმ წარმომადგენლებსაც, რომლებიც არ წარმოადგენენ სამუშაო ჯგუფის წევრებს.

სამუშაო ჯგუფის არჩევა წარმოებს ორი წლის ვადით. ახალგაზრდებისთვის საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელ ნებისმიერ პირს შეუძლია წარადგინოს საკუთარი თავი ან სხვა პირი სამუშაო ჯგუფში ნებაყოფლობითი მონაწილეობის მისაღებად. სამუშაო ჯგუფის წევრმა, რომელსაც აღარ სურს სამუშაო ჯგუფის წევრობა, უნდა გააკეთოს შესაბამისი განაცხადი. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების ქსელის საქმიანობის კოორდინატორი უწყება, სამუშაო ჯგუფთან ერთად, გეგმავს და ახორციელებს ქსელის მართვისა და განვითარების აქტივობებს, აანალიზებს შეგროვებულ სტატისტიკურ მონაცემებს.

პერსონალის უკუკავშირის კვლევა

ქსელის საქმიანობის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი უწყება გეგმავს და ახორციელებს კვლევას, ასევე აანალიზებს მის შედეგებს და უზრუნველყოფს ცენტრების ინფორმირებას აღნიშნული შედეგების შესახებ. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლები მონაწილეობენ პერსონალის უკუკავშირის გამოკითხვაში. გამოკითხვის შედეგები გამოიყენება ცალკეული ცენტრების გუნდური მუშაობისა და ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, სამუშაო ჯგუფსა და ცენტრებს შორის თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად და ცენტრების დამფინანსებელი ორგანიზაციებისთვის უკუკავშირის მოსაწოდებლად.

<u>ინდიკატორები:</u>

- ქსელისა და კონკრეტული ცენტრის ხელმძღვანელობის შეფასება პერსონალის მიერ (პერსონალის კმაყოფილების კვლევის მონაცემები; მონაცემებს აგროვებს და აანალიზებს ქსელის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი უწყება);
- ქსელის ხელმძღვანელობისა და ქსელის კოორდინაციაზე პასუხისმგებელ უწყებასთან თანამშრომლობის შეფასება ცალკეული ცენტრების ხელმძღვანელობის მიერ (ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამართული შეხვედრების მონაცემებს აგროვებს და აანალიზებს ქსელის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი უწყება).

4.3 ახალი ცენტრების შექმნა და ცენტრების ქსელში მათი ჩართვა

ახალი ცენტრების შექმნა

ახალი ცენტრის შექმნის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას მაშინაც, როდესაც მომსახურების მიმწოდებელი არსებული დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდებისათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევის პრინციპების დაცვას, რაც ირკვევა განმეორებითი აუდიტის შედეგად და დახმარების შეთავაზების შემდეგ (შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება ხარისხის განვითარების ინსტრუქციებს).

ახალგაზრდებს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით საკონსულტაციო მომსახურებას შეიძლება სთავაზობდეს სამედიცინო დაწესებულება (ან ასეთი დაწესებულების განყოფილება), რომლეთა მიერ მიწოდებული მომსახურებები შეესაბამება ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების ხარისხის განვითარების ინსტრუქციებს და სადაც პერსონალი გადის ტრენინგს, ახალგაზრდებისთვის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებისა და კომპეტენციების განვითარების მიმართულებით.

ახალი ცენტრის ქსელში გაწევრიანების წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ მის თანამშრომელთა მინიმუმ 50 პროცენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ან გადიოდეს ტრენინგს, ახალგაზრდებისთვის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებისა და კომპეტენციების განვითარების მიმართულებით.

ახალი ცენტრები საჭიროებენ მხარდაჭერას როგორც მათი ჩამოყალიბებისას, ასევე საქმიანობის პროცესში, ამისთვის ახალი ცენტრების თანამშრომლებს სთავაზობენ ისარგებლონ სხვა ცენტრებში დასაქმებული მენტორების დახმარებით. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების ქსელის საქმიანობის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი უწყების წარმომადგენლები და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დამფინანსებელი უწყების წარმომადგენლები ცენტრის გახსნამდე და მისი მუშაობის დაწყებიდან სამი თვის განმავლობაში სტუმრობენ ცენტრს, ზედამხედველობის მიზნით. ცენტრის თანამშრომლებთან ერთად განიხილება როგორც არსებითი, ასევე საორგანიზაციო ხასიათის გამოწვევები. ვინაიდან ცენტრის მუშაობის პროცესში რეალურად ცენტრის პერსონალია ჩართული, მუშაობის ორგანიზების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებებს იღებს თითოეული ცენტრი დამოუკიდებლად, ზედამხედველები ეხმარებიან მათ რეკომენდაციებით და კონტროლით, რათა

ცენტრში დაცული იყოს ახალგაზრდებისათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევის პრინციპები.

მომსახურების ხარისხის ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად, ახალი ცენტრის ფუნქციონირების პირველი წლის განმავლობაში, ამ ცენტრში კლინიკური შემთხვევების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეგიონში უკვე მოქმედი ცენტრის კლინიკური შემთხვევების 30%-ს.

4.4 თანამშრომლობის გაღრმავება

ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრები თანამშრომლობენ სხვა ორგანიზაციებთან/სპეციალისტებთან ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებში.

ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების ქსელის საქმიანობის დაფინანსება და კოორდინირება

უწყება, რომელიც აფინანსებს ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების ქსელს, და უწყება, რომელიც კოორდინაციას უწევს აღნიშნულ ქსელს. კონკრეტულ პროგრამასა და პასუხისმგებლობებზე მხარეები თანხმდებიან ყოველ ჯერზე, ყოველი საბიუჯეტო პერიოდის დაწყებამდე.

საკონსულტაციო მომსახურების გაწევა და სხვა სპეციალისტებთან გადამისამართება

ადგილობრივი სპეციალისტები (ექიმი-სპეციალისტი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და სხვ.) და ჯანდაცვის დაწესებულებები, პოლიცია, ბავშვთა დახმარების ცენტრი, ბავშვთა დაცვის სპეციალისტები და ა.შ.

ინფორმირება, სწავლება და სხვა პროექტები

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (სასწავლო პროგრამები); ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ჯანდაცვის სპეციალისტი (ჯანდაცვის განვითარების პროექტებში მონაწილეობა, ცენტრების საქმიანობის დაფინანსება); ჯანდაცვის განვითარების ინსტიტუტი; ესტონეთის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტთა საზოგადოება (სწავლება); სპეციალისტთა პროფესიული საზოგადოებები; ლგბტ პირთა გაერთიანებები, ახალგაზრდების საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციები; უცხო ქვეყნების წარმომადგენელი პარტნიორები და ა.შ.

4.5 სამიზნე ჯგუფის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მომსახურებათა ზემოქმედების შეფასება

ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების მიერ ცალკეული პირისათვის გაწეული მომსახურება ზოგადად მოსახლეობის ჯანმრთელობაზე აისახება: კონტრაცეფციის მეთოდებით აქტიურად სარგებლობა იწვევს არასასურველ ორსულობათა რიცხვის შემცირებას, უსაფრთხო სქესობრივი კავშირების მეთოდების ფართო გამოყენება ხელს უშლის სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) მათ შორის აივ-ის და ა.შ. გავრცელებას. ახალგაზრდებს შორის აივ-ს გავრცელების მაჩვენებელზე სხვადასხვა ფაქტორები ზემოქმედებს, მათ შორის ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობა, თუმცაღა, ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების წვლილის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობის ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს სამეცნიერო კვლევებით, სხვადასხვა სცენარის გამოყენებით.

<u>არაპირდაპირი მაჩვენებლები (მათზე გავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც):</u>

- შობადობისა და აბორტის მაჩვენებლები 15-19 წლის მოზარდებს შორის
- შობადობისა და აბორტის მაჩვენებლები 20-26 წლის ახალგაზრდებს შორის
- სამიზნე ჯგუფში სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით (სგგი), მათ შორის აივ-ით ინფიცირების პირველადი შემთხვევები
- სექსუალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონე
- კონდომებითა და ჩასახვის საწინააღმდეგო სხვა საშუალებებით სარგებლობა

<u>პირდაპირი მაჩვენებლები:</u>

- ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო ცენტრებში მიმართვიანობის დონე არ მცირდება (ფასდება სამიზნე ჯგუფში წილის გამოანგარიშებით).